

არჩევითპასუხიანი დავალებების ნიმუშები

დარგი	მარტივი	საშუალო	რთული
<p><b>სამოქალაქო სამართალი</b></p>	<p>წერილობითი ფორმით დადებას არ საჭიროებს ხელშეკრულება, რომელიც ეხება:</p> <p>ა. ნაწარმოების შექმნას.</p> <p>ბ. საავტორო უფლების გადაცემას.</p> <p>გ. ნაწარმოების გამოყენებას (სალიცენზიო ხელშეკრულება).</p> <p><u>დ. პერიოდულ ბეჭდვით გამოცემებში ნაწარმოების გამოყენებას.</u></p>	<p>შოთა საჯაროდ შეპირდა ჯილდოს მას, ვინც თვის ბოლომდე პირველი მიუყვანდა იშვიათი ჯიშის ლეკვს. ლაშამ და სოსომ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიძინეს იშვიათი ჯიშის თითო ლეკვი და თვის ბოლოს ერთდროულად ლეკვებთან ერთად ესტუმრნენ შოთას ჯილდოს მისაღებად. მათ აღმოაჩინეს, რომ ისეთივე ჯიშის ლეკვი ორი დღის წინ შოთასათვის მეგობარ გოჩას მიუყვანია. შოთას გოჩასათვის ჯილდოს შეპირების შესახებ არ უცნობებია. ლაშამ და სოსომ მოითხოვეს ჯილდოს მათთვის გადაცემა.</p> <p>ვინ უნდა მიიღოს შეპირებული ჯილდო?</p> <p>ა. სოსომ ან ლაშამ წილისყრით.</p> <p>ბ. არცერთმა.</p> <p>გ. ლაშამ, სოსომ და გოჩამ თანაბრად.</p> <p><u>დ. მხოლოდ გოჩამ.</u></p>	<p>სანდრო, ლევანი და კახა ერთად უყურებდნენ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრას ფეხბურთში. მატჩის მსვლელობისას სანდრო და ლევანი დანადგედნენ ფულზე. ლევანს მიაჩნდა, რომ ჩემპიონი გახდებოდა მისი ფავორიტი გუნდი, ხოლო სანდროს კი - მისი ფავორიტი გუნდი. სანადლეოს წაგების შემთხვევაში არცერთ მათგანს ვალდებულების შესასრულებელი ფული არ ჰქონდა. კახამ როგორც სანდროს, ასევე ლევანს სანადლეოს დადებისთანავე ასესხა ფული დამარცხების შემთხვევაში სანადლეოთი ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად. სანდრომ სანადლეო მოიგო.</p> <p>რომელი მსჯელობაა მართებული?</p> <p>ა. სანდროს აქვს მოთხოვნის უფლება ლევანის მიმართ სანადლეოდან გამომდინარე. კახას არა აქვს მოთხოვნის უფლება სანდროს და ლევანის მიმართ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე.</p> <p>ბ. სანდროს აქვს მოთხოვნის უფლება ლევანის მიმართ სანადლეოდან გამომდინარე. კახას აქვს მოთხოვნის უფლება სანდროს და ლევანის</p>

			<p>მიმართ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე.</p> <p>გ. სანდროს არა აქვს მოთხოვნის უფლება ლევანის მიმართ სანაძლეოდან გამომდინარე. კახას აქვს მოთხოვნის უფლება სანდროს და ლევანის მიმართ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე.</p> <p><u>დ. სანდროს არა აქვს მოთხოვნის უფლება ლევანის მიმართ სანაძლეოდან გამომდინარე. კახას არა აქვს მოთხოვნის უფლება სანდროს და ლევანის მიმართ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე.</u></p>
<p><b>სამოქალაქო სამართლის პროცესი</b></p>	<p>სარჩელი ალიმენტის გადახდევინების შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლოში:</p> <p>ა. მოპასუხის სამუშაო ადგილის მიხედვით.</p> <p>ბ. ბავშვის დაბადების ადგილის მიხედვით.</p> <p>გ. მაგისტრატი მოსამართლის ადგილის მიხედვით.</p> <p><u>დ. მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.</u></p>	<p>საქმის განხილვისას გამოირკვა, რომ ერთ-ერთი საკითხის განმარტების გარეშე, რასთან დაკავშირებითაც მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნდა, გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელი იყო, ამ საკითხთან დაკავშირებით მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ექსპერტის დასკვნას კი მოსამართლე არ დაეთანხმა დაუსაბუთებლობის მოტივით.</p> <p>სასამართლომ თავისი ინიციატივით დანიშნა დამატებითი ექსპერტიზა, რომლის ჩატარება დაავალა იმავე ექსპერტს.</p> <p>სასამართლოს მოქმედება:</p> <p>ა. არასწორია, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები და</p>	<p>სასამართლოს სხდომაზე გამოცხადებულმა მოპასუხემ უარი განაცხადა საქმის განხილვაში მონაწილეობაზე, მოსარჩელემ კი იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე. საქმის მასალების მიხედვით, არსებობდა განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე საქმეზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.</p> <p>როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო? სასამართლომ:</p> <p>ა. საქმე უნდა განიხილოს არსებითად.</p>

		<p>მტკიცების პროცესში სასამართლო არ უნდა ჩაერიოს.</p> <p>ბ. სწორია, მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს უნდა დაენიშნა დამატებითი ექსპერტიზა, ხოლო მისი ჩატარება შეეძლო დაევალებინა იმავე ან სხვა ექსპერტისთვის.</p> <p>გ. სწორია, სასამართლოს ყოველგვარი წინაპირობის გარეშე შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა.</p> <p><u>დ. არასწორია, მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს შეეძლო დაენიშნა განმეორებითი ექსპერტიზა და მისი ჩატარება დაევალებინა სხვა ექსპერტისთვის.</u></p>	<p>ბ. უნდა მიიღოს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების თაობაზე.</p> <p>გ. უნდა მიიღოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.</p> <p><u>დ. უნდა მიიღოს განჩინება საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ.</u></p>
<p><b>სისხლის სამართალი</b></p>	<p>ლევანს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად აღმოაჩნდა აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონელი, აქციზური მარკის გარეშე. საქონლის ღირებულებამ შეადგინა ათას ხუთას ორმოცდაათი ლარი.</p> <p>ჩამოთვლილი პასუხებიდან მიუთითეთ ლევანის ქმედების სწორ სამართლებრივ კვალიფიკაციაზე:</p> <p>ა. აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვა.</p>	<p>16 წლის არასრულწლოვნის მიმართ არსებობდა კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის საფუძვლები. სასამართლომ დანაშაულისათვის, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას, სასჯელის სახით განუსაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეუმცირა 1/3-ით და საბოლოოდ განუსაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.</p> <p>კანონიერია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება?</p>	<p>დავითი დაინიშნა ერთ-ერთი რეგიონის გუბერნატორად. იგი სარგებლობდა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერით. მან დანიშნვიდან რამდენიმე თვეში დაიწყო მმართველი ხელისუფლების საწინააღმდეგო პოლიტიკის გატარება. ვინაიდან ხელისუფლებისგან იგი წინააღმდეგობას შეხვდა, მოითხოვა საქართველოდან იმ რეგიონის გამოყოფა და დამოუკიდებლობა, სადაც იგი გუბერნატორად იყო დანიშნული. აღნიშნული გეგმის განსახორციელებლად, მან მოუწოდა მოსახლეობას მხარში დადგომოდნენ</p>

	<p>ბ. აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვა განსაკუთრებით დიდი ოდენობით.</p> <p>გ. აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვა დიდი ოდენობით.</p> <p><u>დ. სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენია.</u></p>	<p>ა. არა, რადგან კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნისას, მისი შემცირება დაუშვებელია.</p> <p>ბ. დიახ, რადგან მოცემულ შემთხვევაში საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.</p> <p>გ. დიახ, რადგან მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს სასჯელი უნდა შემცირებინა 1/3-ით.</p> <p><u>დ. არა, რადგან მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს სასჯელი უნდა შემცირებინა 1/4-ით.</u></p>	<p>მას და არ დამორჩილებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას.</p> <p>დააკვალიფიცირეთ გუბერნატორის ქმედება:</p> <p>ა. ანტიკონსტიტუციური მოლაპარაკების წარმოება.</p> <p>ბ. მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად.</p> <p>გ. კანონიერი ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობა.</p> <p><u>დ. საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა.</u></p>
<p><b>სისხლის სამართლის პროცესი</b></p>	<p>თუ დაპატიმრებული ბრალდებული სასამართლო სხდომაზე არ იქნა წარმოდგენილი ტრანსპორტირების განუხორციელებლობის გამო, სასამართლო გადადებს საქმის განხილვას გონივრული ვადით, მაგრამ არაუმეტეს:</p> <p>ა. 5 დღისა.</p> <p>ბ. 20 დღისა.</p> <p>გ. 30 დღისა.</p> <p><u>დ. 10 დღისა.</u></p>	<p>პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დაკავებული დემეტრე გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში. მას ძლიერ სტკიოდა თავი. გამომძიებელმა დემეტრეს ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის შესამოწმებლად ექიმი არ მოიწვია.</p> <p>სწორად მოიქცა თუ არა გამომძიებელი?</p> <p>ა. არა, რადგან დემეტრე თავის ტკივილს უჩიოდა, რაც გამომძიებელს ავალდებულებდა მოეწვია ექიმი.</p> <p>ბ. დიახ, რადგან დემეტრემ პოლიციელს წინააღმდეგობა გაუწია.</p>	<p>გამომძიებლის მიერ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებულ იქნა ავტომანქანის ჩხრეკა. ჩხრეკის შედეგად ავტომანქანიდან ამოღებულ იქნა სხვადასხვა სახეობის ნარკოტიკული საშუალებები და თავად ავტომანქანა. პროკურორმა მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული საგამომძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ.</p> <p>რომელია მოსამართლის კანონიერი გადაწყვეტილება?</p>

		<p>გ. არა, რადგან დაკავებული დაკავებისთანავე უნდა შეამოწმოს ექიმმა მისი ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის დასადგენად.</p> <p><u>დ. დიახ, რადგან ამგვარი შემოწმება თავად დემეტრეს არ მოუთხოვია.</u></p>	<p>ა. შუამდგომლობის განხილვა არ მიიჩნია დასაშვებად.</p> <p>ბ. სრულად დააკმაყოფილა შუამდგომლობა.</p> <p>გ. არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა იმ მოტივით, რომ ასეთი ქმედება სასამართლოს კონტროლს არ საჭიროებს.</p> <p><u>დ. კანონიერად ცნო ავტომანქანის ჩხრეკა, ხოლო ავტომანქანის ამოღება უკანონოდ.</u></p>
<p><b>ადმინისტრაციული სამართალი</b></p>	<p>სასამართლოს განჩინება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ გასაჩივრდება:</p> <p>ა. სააპელაციო საჩივრით.</p> <p>ბ. გადაწყვეტილებასთან ერთად.</p> <p>გ. საჩივრით.</p> <p><u>დ. კერძო საჩივრით.</u></p>	<p>კერძო აღმასრულებლის აცილების საკითხს მოვალის მოთხოვნის საფუძველზე წყვეტს:</p> <p>ა. აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე.</p> <p>ბ. სააღსრულებო ბიუროს უფროსი, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მიმდინარეობს აღსრულება.</p> <p>გ. საქართველოს იუსტიციის მინისტრი.</p> <p><u>დ. სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მიმდინარეობს აღსრულება.</u></p>	<p>ჩამოთვლილთაგან რომელი პასუხი არ არის სწორი? სასამართლოს (მოსამართლეს) შეუძლია მხარის მოთხოვნით მიიღოს გადაწყვეტილება საქმის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ, რა დროსაც იგი უფლებამოსილია:</p> <p>ა. შეამოკლოს მოპასუხის მიერ თავისი პასუხის (შესაგებლის) ან შეგებებული სარჩელის წარდგენის ვადა.</p> <p>ბ. შეუმოკლოს მხარეებს ექსპერტიზის დასკვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა.</p>

			<p>გ. მესამე პირს არ განუსაზღვროს ვადა სარჩელზე საკუთარი მოსაზრების წარდგენისათვის.</p> <p><u>დ. შეუმოკლოს მოსარჩელეს მტკიცებულებათა წარდგენის ვადა.</u></p>
<p><b>ადმინისტრაციული სამართლის პროცესი</b></p>	<p>რომელი მსჯელობაა სწორი:</p> <p>ა. ადმინისტრაციული ორგანოსათვის სამართლებრივი დახმარების გაწევისათვის აუცილებელი ხარჯები ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ.</p> <p>ბ. ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ითხოვს სამართლებრივ დახმარებას, ვალდებულია აანაზღაუროს სამართლებრივი დახმარების გაწევისათვის აუცილებელი ხარჯები, თუ ისინი აღემატება 200 ლარს.</p> <p>გ. სამართლებრივი დახმარების აღმოჩენასთან დაკავშირებულ ხარჯებს ყოველი ადმინისტრაციული ორგანო თავად ანაზღაურებს.</p> <p><u>დ. ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ითხოვს სამართლებრივ დახმარებას, ვალდებულია აანაზღაუროს სამართლებრივი დახმარების გაწევისათვის აუცილებელი ხარჯები, თუ ისინი აღემატება 50 ლარს.</u></p>	<p>ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც:</p> <p>ა. არჩევნების დანიშვნის დღისათვის შეუსრულდა 25 წელი.</p> <p>ბ. კენჭისყრის დღისათვის შეუსრულდა 18 წელი.</p> <p>გ. არჩევნების დანიშვნის დღისათვის შეუსრულდა 21 წელი.</p> <p><u>დ. კენჭისყრის დღისათვის შეუსრულდა 21 წელი</u></p>	<p>საჯარო დაწესებულების სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შემცირდა შტატი. აღნიშნულის გამო შესაბამის მოხელეს შესთავაზეს გადასულიყო სხვა საჯარო დაწესებულებაში უფრო დაბალ თანამდებობაზე, მისი თანამდებობის ტოლფასი შტატის არარსებობის გამო, რაზეც მოხელემ თანხმობა განაცხადა, თუმცა აღნიშნულის წინააღმდეგია ის საჯარო დაწესებულება, სადაც მოხელეს შესთავაზეს გადასვლა.</p> <p>ზემოაღნიშნული პირობის გათვალისწინებით, ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?</p> <p>ა. საჯარო სამსახურის შესახებ კანონი, საჯარო დაწესებულების სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმისას, ითვალისწინებს მოხელის გადაყვანას არა სხვა, არამედ შერწყმის შედეგად წარმოქმნილ საჯარო დაწესებულებაში.</p> <p>ბ. საჯარო დაწესებულება ვალდებული იყო მოხელისათვის შეეთავაზებინა მხოლოდ ტოლფასი</p>

			<p>თანამდებობა, ხოლო მისი არარსებობისას კი რანგით უფრო მაღალი თანამდებობა, თუ ამაზე თანხმობას გამოთქვამდა სხვა საჯარო დაწესებულებაც.</p> <p>გ. საჯარო დაწესებულებას უფლება ჰქონდა მოხელისათვის შეეთავაზებინა სხვა საჯარო დაწესებულებაში გადასვლა მხოლოდ ტოლფას და არა დაბალ თანამდებობაზე.</p> <p><u>დ. საჯარო დაწესებულებას უფლება ჰქონდა შეეთავაზებინა მოხელისათვის სხვა საჯარო დაწესებულებაში გადასვლა, თუ ამაზე თანხმობას განაცხადებდა სხვა საჯარო დაწესებულება</u></p>
<p><b>საკონსტიტუციო სამართალი</b></p>	<p>პარლამენტის პლენარულ სხდომაზე რომელი მოსმენისას ხდება კანონპროექტის განხილვა ქვეპუნქტების, პუნქტების (ნაწილების), მუხლების, თავების ან/და კარების მიხედვით?</p> <p>ა. მესამე მოსმენისას.</p> <p>ბ. პარლამენტის ბიუროზე განხილვისას.</p> <p>გ. პირველი მოსმენისას.</p> <p><u>დ. მეორე მოსმენისას.</u></p>	<p>„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?</p> <p>პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი პრინციპი:</p> <p>I. მონაცემები უნდა დამუშავდეს სრულყოფილად და ობიექტურად.  II. მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად.  III. მონაცემები უნდა დამუშავდეს კანონიერად.</p>	<p>რას ნიშნავს საქართველოს პარლამენტის წევრის თავისუფალი მანდატი?</p> <p>ა. საქართველოს პარლამენტის წევრი საკუთარი ამომრჩევლების ინტერესების დამცველი და მათი წარმომადგენელია.</p> <p>ბ. საქართველოს პარლამენტის წევრს იცავს იმუნიტეტი.</p> <p>გ. საქართველოს პარლამენტის წევრი არჩეულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული</p>

		<p>IV. მონაცემები უნდა დამუშავდეს მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეუღახავად.</p> <p>ა. I, II და III.  ბ. I და IV.  გ. I და II.  დ. II, III და IV.</p>	<p>პირდაპირი და საყოველთაო არჩევნების გზით.</p> <p><u>დ. საქართველოს პარლამენტის წევრი არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი, მისი გაწვევა დაუშვებელია</u></p>
<p><b>ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები</b></p>	<p>ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?</p> <p>ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) თანახმად, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, რაც გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას:</p> <p>ა. მიიღოს გონივრული ზომები, რათა აღკვეთილ იქნეს კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული ფიზიკური ძალადობა, რომელიც ხელისუფლების ორგანოებისათვის ცნობილი იყო ან მათ ამის შესახებ უნდა სცოდნოდათ.</p> <p>ბ. ეფექტურად გამოიძიოს კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული სავარაუდო ფიზიკური ძალადობის ფაქტი, მათ შორის იმ შემთხვევაშიც თუ ფიზიკური ძალადობა კერძო პირების მიერ განხორციელდა.</p> <p>გ. დაიცვას მის იურისდიქციაში მყოფი ადამიანები კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული ნებისმიერი ფიზიკური ძალადობისაგან, მათ შორის იმ</p>	<p><i>(სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციისთვის)</i></p> <p>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით „სარიშვილი-ბოლქვამე საქართველოს წინააღმდეგ“, ეროვნულ დონეზე არასწორი სამედიცინო მკურნალობის გამო გარდაცვლილი პაციენტის დედისათვის მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით:</p> <p>ა. წარმოადგენს კონვენციის 1 დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევას, ეროვნულ დონეზე სამოქალაქო სარჩელით არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის გამო.</p> <p>ბ. არ წარმოადგენს არანაირ დარღვევას ვინაიდან, არაქონებრივი უფლების (მორალური ზიანის) ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში, რაც სახელმწიფოს შეფასების ფარგლებში ექცევა.</p>	<p><i>(სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციისთვის)</i></p> <p>სს საზოგადოება „ტლბ“-ის სასარჩელო მოთხოვნა ეროვნული სასამართლოს რაიონულ და სააპელაციო დონეზე არ დაკმაყოფილდა, ხოლო უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი ბაჟის გადაუხდელობის გამო. საქმის განხილვისას სახელმწიფოს წინაშე შეუსრულებელი ვალდებულებების გამო სს საზოგადოება „ტლბ“-ს ყველა ანგარიშს დაედო ყადაღა. სს „ტლბ“-მ მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მე-6 მუხლის პირველი ნაწილის სავარაუდო დარღვევით, სადაც ის უთითებდა, რომ დარღვეულ იქნა სამართლიანი სასამართლოს უფლება, კერძოდ, ეროვნულმა სასამართლომ არ გამოიყენა კანონი რომელიც უნდა გამოეყენებინა და ისე მიიღო გადაწყვეტილება, ასევე მას ბაჟის გადაუხდელობის გამო შეეზღუდა ეს უფლება უზენაეს სასამართლოში.</p>



<p>შემთხვევაშიც, თუ ფიზიკურ ძალადობას ახორციელებენ კერძო პირები.</p> <p><u>დ. არ დაექვემდებარონ მის იურისდიქციაში მყოფი ადამიანები კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ ნებისმიერ ფიზიკურ ძალადობას სახელმწიფოს მხრიდან.</u></p>	<p>გ. წარმოადგენს მე-3 მუხლის დარღვევას, არაადამიანურ მოპყრობას, დედის მიერ გადატანილი სულიერი ტანჯვის გამო.</p> <p>დ. წარმოადგენს მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლების) დარღვევას <u>სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის საშუალებებთან მიმართებით.</u></p> <p><b><i>(სისხლის სამართლის სპეციალიზაციისთვის)</i></b>  ბაიას გიორგისთან თანაცხოვრების პერიოდში შეეძინა ქალიშვილი. წყვილი, ბავშვის გაჩენიდან 2 წელიწადში განქორწინდა და ბავშვი დედასთან ერთად გადავიდა საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში. გიორგიმ დედის თანხმობით ბავშვი ჩამოიყვანა საქართველოში არდადეგებზე, შემდეგ მისი დედასთან დაბრუნებაზე შეთანხმებით, მაგრამ დატოვა ბავშვი ბაბუასთან (თავის მამასთან), თავად კი სხვა ქვეყანაში გაემგზავრა საცხოვრებლად. ბაბუამ უარი განუცხადა დედას ბავშვის დაბრუნებაზე. დედამ მიმართა საქართველოს სასამართლოს. საბოლოო გადაწყვეტილებით დედას უარი ეთქვა ბავშვის დაბრუნებაზე.</p> <p>ზემოთ მოყვანილი გარემოებების მიხედვით, დედის მიმართ, ადამიანის უფლებათა კონვენციით დაცული</p>	<p>ადამიანის უფლებათა სასამართლომ უნდა მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება:</p> <p>ა. საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი მოთხოვნის ყველა ნაწილში.</p> <p>ბ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ წარმოადგენს მე-4 ინსტანციის სასამართლოს, რის გამოც საჩივარი დაუშვებელია.</p> <p>გ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ვალდებულია განიხილოს საქმე, რადგან მომჩივანი უთითებს ისეთი აბსოლუტური უფლების დარღვევაზე, როგორცაა სამართლიანი სასამართლოს უფლება.</p> <p><u>დ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ წარმოადგენს მე-4 ინსტანციის სასამართლოს, რის გამოც მოთხოვნის პირველი ნაწილი დაუშვებელია. ხოლო მეორე ნაწილში ბაჟის გადაუხდელობის გამო, სამართლიანი სასამართლოს უფლების ხელმისაწვდომობა დარღვეულია.</u></p> <p><b><i>(სისხლის სამართლის სპეციალიზაციისთვის)</i></b>  ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?</p>
---	--	--

		<p>რომელი უფლების/უფლებების სავარაუდო დარღვევას ჰქონდა ადგილი:</p> <p>ა. საქმის სამართლიანი განხილვის უფლება.  ბ. არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა.  გ. არასრულწლოვანი პირის დაყოვნების აკრძალვა.  <u>დ. პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება.</u></p>	<p>ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის (არავითარი სასჯელი კანონის გარეშე) თანახმად, არავინ შეიძლება იქნეს მიჩნეული ბრალდებულად რაიმე დანაშაულში ისეთი მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც ჩადენის დროს არ წარმოადგენდა სისხლის სამართლის დანაშაულს ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით. ეროვნული სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაულის ცნება უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ სტანდარტებს, რაც გულისხმობს:</p> <p>ა. დანაშაულის ცნების შესაბამისობას კანონიერებისა და სამართლიანობის პრინციპებთან.</p> <p>ბ. დანაშაულის ცნების შესაბამისობას საერთაშორისო სისხლის სამართალში აღიარებულ ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპთან.</p> <p>გ. დანაშაულის ცნების განსაზღვრას ქვეყანაში მოქმედი მორალური და სოციალური თავისებურებების გათვალისწინებით.</p> <p><u>დ. დანაშაულის ცნების განჭვრეტადობისა და</u></p>
--	--	--	---

			<u>ხელმისაწვდომობის მოთხოვნის დაკმაყოფილებას.</u>
--	--	--	---